

საკრედიტო პორტფელის მართვის ანალიზი და მონიტორინგის სტრუქტურული მოდელის შემუშავება

მარიამ დვალისვილი

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

რეზიუმე

კორპორატიულ კრედიტების სფეროში ბანკის რისკის ეფექტური მართვისთვის არ არის საკმარისი მარტო მათი ხარისხის შეფასება, ასევე საჭიროა სხვადასხვა მეთოდების და ღონისძიებების გამოყენება, რომლებიც მიმართულია რისკების მინიმალიზაციისაკენ. კორპორატიულ კრედიტების სფეროში ბანკის კლიენტებს წარმოადგენს იურიდიული პირები. კრედიტის ზომა ორიენტირდება საშუალო კორპორატიულ კლიენტებზე. საკრედიტო რისკის მართვის პროცესში მნიშვნელოვანია რისკების კონტროლი. სტატიაში განხილულია რისკების კონცენტრაციის ლიმიტის, მსხვილი საკრედიტო რისკების ერთობლივი ლიმიტის მოცულობის განსაზღვრისა და საკრედიტო პორტფელის რისკების კონცენტრაციის ლიმიტის ანალიზის შესახებ საკითხები.

საკვანძო სიტყვები: საკრედიტო ლიმიტი, საკრედიტო რისკი, რისკების კონტროლი, სესხი, საკრედიტო პოლიტიკა.

1. შესავალი

კორპორატიული კრედიტის ზომა ორიენტირდება საშუალო კორპორატიულ კლიენტებზე რომლის წლიური შემოსავალია 50-დან 500 000 ლარამდე. ბანკი სთავაზობს კრედიტს ნაციონალურ და უცხოურ ვალუტაში, მათ შორის ღია საკრედიტო ხაზებს, კლიენტის პროგრამის განხორციელებისთვის. საკრედიტო ხაზები შეიძლება იყოს აღდგენილი და ბანკი წარმოადგენს იმ შემთხვევაში, თუ კლიენტისთვის აუცილებელია საბრუნავი საშუალებები, წარმოების აუცილებელი მოცულობისთვის ან ვაჭრობისთვის. საბანკო გარანტიების წარმოდგენისას, ნაციონალურ ან უცხოურ ვალუტაში, ბანკი გარანტიას იძლევა, რომ შესრულდეს კლიენტის მიერ მისი ვალდებულება, კონტრაგენტების ან სხვა ბანკების წინაშე. იმ შემთხვევაში თუ კლიენტი თავის დროზე ვერ შეასრულებს ვალდებულებას, მაშინ ბანკი ასრულებს კლიენტის მოვალეობას. ბანკი ანხორციელებს უფრო სტაბილურ და დინამიურად განვითარებული წარმოებების კრედიტირებას, მაგალითად: საკვები პროდუქტების წარმოება და ვაჭრობა, ელექტრონიკა, ქსელური კომპანიები, ასევე დეველოპერული და სამშენებლო ბიზნესი[1].

2. რისკების კონცენტრაციის ლიმიტის განსაზღვრა

რისკების კონცენტრაციის ლიმიტი წარმოადგენს საკრედიტო რისკის საერთო თანხას ერთ მსესხებელზე. მსესხებელთა შეკრული ჯგუფისთვის განსაზღვრულია 25% ბანკის ძირითადი კაპიტალის კორექტირებული მოცულობიდან, მაგრამ არაუმეტეს 10%-ისა საკრედიტო პორტფელის თანხიდან [2].

გაანგარიშება წარმოებს ყოველ გასაანგარიშებელ რიცხვზე მოცემულ შემთხვევაში დასაანგარიშებელი რიცხვი იქნებათვის ბოლო დღე.

საკრედიტო პორტფელის ზრდის ტემპი ასევე დამოკიდებულია სეზონურობასთან, ხშირ შემთხვევაში ვარდნა ხდება იანვარში [3].

მოცემული ლიმიტის შესასრულებლად ერთ-ერთ ოპტიმალურ გადაწყვეტილებას წარმოადგენს ან ბანკის კაპიტალის გაზრდა საკრედიტო პორტფელის ზრდის პროპორციულად ან მსესხებლის ლიმიტის უფრო ძირფესვიანი შემოწმება. მაქსიმალური თანხის გაცემის განსაზღვრის სირთულეს წარმოადგენს ის, რომ გავივით შეიძლება თუ არა, ჩავართოთ ანალიზში საკრედიტო ინსტრუმენტების სხვა ფორმები. ანალიზი შეიცავს პირობით პასუხისმგებლობას, როგორებიცაა

გარანტიები, აკრედიტივები, ასევე მომავალი მოთხოვნები, რომლის უზრუნველყოფაც ითავა ბანკმა. პრინციპში პირობითი ვალდებულება უნდა განისაზღვროს საკრედიტო რისკების მოცულობის ერთობლიობით, თუმცა ზოგი რამ შეიძლება განვიხილოთ სხვა მხრივაც. მაგალითად, ფინანსური ვალდებულების გარანტია შეიძლება განვიხილოთ არა ისე, როგორც შესრულების გარანტია. გავითვალისწინოთ თუ არა წინასწარი შენატანი ლიმიტების შეფასებისას, სადაო საკითხია, რადგან წინასწარი შენატანის ღირებულების განსაზღვრა-ეს არის უძალესი ხარისხის სუბიექტური პროცესი. ბანკის საკრედიტო განყოფილების თანამშრომლებმა მუდმივად უნდა მიაქციონ ყურადღება მოვლენებს, რომლებიც ეხებათ მსხვილ მსესხებლებს, იმის მიუხედავად ასრულებენ თუ არა ისინი თავის მოვალეობებს ბანკის წინაშე. თუ რაიმე შემთხვევა იწვევს გაუგებრობას, ბანკმა უნდა მოითხოვოს მსესხებლის დამატებითი ინფორმაცია. ბანკის ზედამხედველობის ორგანოები ყოველთვის დიდ დროს უთმობენ ბანკის რისკების კონცენტრაციას. მათი მიზანი საკრედიტო რისკების მართვის სახით წარმოადგენს ის, რომ ბანკები უნდა ენდობოდნენ ერთ დიდ მსესხებელს ან მსესხებლების ჯგუფს, მაგრამ ამ დროს ისინი არ უნდა კარნახობდნენ ბანკს, ვის უნდა მისცენ კრედიტი და ვის არა. თანამედროვე საბანკო რეგულაციები, ჩვეულებრივ უყენებს ბანკს პირობას არ განახორციელოს ინვესტიციები, არ წარმოადგინოს დიდი კრედიტები ან სხვა სახის საკრედიტო ინსტრუმენტები ნებისმიერი ცალკეული იურიდიული პირებისათვის ან ურთიერთდამოკიდებული ჯგუფის იურიდიული პირისთვის. მოცემული შეზღუდვების გამოყენებით, ზედამხედველობის ორგანოებს შეუძლიათ აკონტროლონ მთლიანად, როგორც საბანკო სექტორი, ასევე ცალკეული ბანკების საკრედიტო პორტფელის სტრუქტურა, რათა დაიცვან შემომტანების ინტერესები და თავიდან აიცილონ კრიტიკული სიტუაციები საბანკო სექტორში.

3. მსხვილი საკრედიტო რისკების ერთობლივი ლიმიტის მოცულობა

ყველა მსესხებლის საკრედიტო რისკის ჯამი (მსესხებლების ჯგუფი, რომლებსაც გააჩნიათ 5%-ზე მეტი პოზიცია ბანკიდან, შემოსაზღვრულია 800% ბანკის საკუთარი სახსრებიდან. ლიმიტის დაანგარიშებას ვახდენთ თვის ბოლო დღეს. ვპოულობთ აუცილებელ პარამეტრს რათა განვსაზღვროთ საკრედიტო რისკის მაქსიმალური ზომა - მსხვილი ერთეული კრედიტის ზომა. ის განისაზღვრება როგორც 5% საკუთარი კაპიტალიდან, რომელიც შესაბამისობაშია ცენტრალური ბანკის ნორმებთან. გათვლას ვაწარმოებთ Microsoft Office Excel-ის საშუალებით და შედეგებით წარმოვადგენთ ცხრილ 1-ში.

$$L_2 = \frac{\sum(\text{Positions} \geq 5\% \text{ of Capital})}{\text{Bank capital}} \leq 800\%$$

მიღებული შედეგების განხილვით ჩვენ ვხედავთ, რომ მსხვილი საკრედიტო რისკების მაქსიმალური ზომა 31.03.2012 წლისთვის შეადგენს 277%-ს, ეს სავსებით აკმაყოფილებს ბანკის მიერ გაცემული მსხვილი კრედიტების ერთობლივი ზომის შეზღუდვის პირობებს. ცხრილიდან ნათლად ჩანს, რომ არსებობს დადებითი დინამიკა, ანუ მოცემული მაჩვენებლის თანდათანობით ძირს დაწევა. ცხრილიდან ასევე ჩანს, რომ მსესხებლების წილს საკრედიტო პორტფელში გააჩნიათ უმნიშვნელო რყევა განსახილველ პერიოდში წილის საშუალო მაჩვენებელთან შედარებით, რაც შეადგენს 40%. აქედან ჩანს, რომ კაპიტალის გაზრდით შესაბამისად ცალკეული მსხვილი კრედიტის სიდიდის გაზრდით იზრდება კრედიტის მოცულობები.

ცხრ.1

| | იანვ 2011 | თებ 2011 | ... | აგვ 2011 | სექტ 2011 | ოქტ 2011 | ნოვ 2011 | დეკ 2011 | იანვ 2012 | თებ 2012 | მარტ 2012 |
|---|----------------|----------------|-----|----------------|----------------|----------------|----------------|----------------|----------------|----------------|----------------|
| კაპიტალი | 54 199,00ლ | 67 971,00ლ | ... | 79 403,30ლ | 98 344,02ლ | 92 083,92ლ | 99 793,79ლ | 118 312,38ლ | 109 147,48ლ | 115 045,19ლ | 115 464,55ლ |
| მსხვილი ერთეულოვან ი კრედიტის სიდიდე (5% კაპიტალი) | 2 709,95ლ | 3 398,55ლ | ... | 3 970,17ლ | 4 917,20ლ | 4 604,20ლ | 4 989,69ლ | 5 915,62ლ | 5 457,37ლ | 5 752,26ლ | 5 773,23ლ |
| მსესხებლების მსხვილი ჯგუფების რაოდენობა (5% კაპიტალი) | 26 | 25 | ... | 31 | 28 | 27 | 25 | 25 | 24 | 27 | 27 |
| მსხვილის საკრედიტო რისკების ჯამი | 135 590,49ლ | 157 178,44ლ | ... | 250 285,38ლ | 248 334,45ლ | 273 127,74ლ | 271 671,71ლ | 302 382,14ლ | 294 047,43ლ | 326 564,44ლ | 319 684,98ლ |
| L2 | 250% | 231% | ... | 315% | 253% | 297% | 272% | 256% | 269% | 284% | 277% |

4. საკრედიტო პორტფელის რისკების კონცენტრაციის ლიმიტი

მსხვილი საკრედიტო რისკების კონცენტრაციისთვის საჭიროა ვაკონტროლოთ საკრედიტო პორტფელი უზრუნველყოფა. მთლიანობაში შეიძლება გამოვყოთ უზრუნველყოფის ძირითადი სახეები საგირაო პორტფელთან უკეთესად სამუშაოდ (ცხრილი 2).

ყველა ბანკი მიისწრაფის უზრუნველყოფილი კრედიტების გაცემაზე, რაც ამცირებს საკრედიტო რისკის ხარისხს. ანალიზის მსვლელობისას აუცილებელია გავითვალისწინოთ, რომ სესხები, რომლებსაც გააჩნიათ უზრუნველყოფა, აქვთ უფრო დაბალი რისკი ვიდრე არაუზრუნველყოფილ სესხებს, დანაკარგის ანაზღაურების რეალური ღირებულება დამოკიდებულია დროზე.

ცხრ.2

| უზრუნველყოფის სახე | წილი |
|---|------|
| კრედიტები, უზრუნველყოფილი მხოლოდ თავდებით | 30% |
| კრედიტები, უზრუნველყოფილი საქონლის გირაოთი | 30% |
| კრედიტები, უზრუნველყოფილი მოწყობილობის გირაოთი | 10% |
| კრედიტები, უზრუნველყოფილი გირაოთი გამოსყიდვის უფლებით | 10% |
| კრედიტები, უზრუნველყოფილი ბანკის ვექსილებით | 0% |
| კრედიტები, უზრუნველყოფილი უძრავი ქონების გირაოთი | 20% |
| კრედიტები არაუზრუნველყოფით | 0% |

საკრედიტო გარიგების უზრუნველყოფას თან სდევს შემდეგი ძირითადი მიზნები:

- წარმოადგენს საკრედიტო საშუალებების დაბრუნების საწყისს მის უზრუნველყოფილ ნაწილში, კრედიტის დაუბრუნებლობის შემთხვევაში;
- სტიმულს აძლევს მსესხებელს დროულ მომსახურებაზე და კრედიტის დაბრუნებაზე;
- წარმოადგენს ინფორმაციის დამატებით წყაროს მსესხებლის კრედიტუნარიანობაზე. ამის მიხედვით ბანკი საკრედიტო პოლიტიკაში დამოუკიდებლად აწესებს შესაბამის ლიმიტებს გარკვეული სახის უზრუნველყოფაზე, ხშირ შემთხვევებში ლიმიტი დგინდება გარიგების ლიკვიდაციის უზრუნველყოფით. ჩვენს შემთხვევაში ლიკვიდირებული შეიძლება დავარქვათ უზრუნველყოფას გარიგების სახით, საბანკო გარანტიებს, თავდებობას, გარანტირებულ დეპოზიტს. ასევე თუ რა სახისაა უზრუნველყოფა, კორექტირდება რეზერვი შესაძლებელ სესხების დანაკარგებთან. დავუშვათ, ჩვენს შემთხვევაში ლიმიტები დგინდება შემდეგი პროპორციით

(ცხრილი 2). ასევე დაუშვათ, რომ ლიმიტები დგინდება ერთი წლით წინა გამოცდილების გათვალისწინებით, უზრუნველყოფის განსაზღვრული სახეობით, მათი ექსპერტიზაზე დახარჯული ხარჯების აღრიცხვაზე, გაფორმებაზე და მონიტორინგზე. ამ მონაცემებს გავუკეთოთ ანალიზი ჩვენი საკრედიტო პორტფელისთვის. გათვლა ხორციელდება შემდეგი სახით: საკრედიტო პორტფელის ერთობლიობიდან ვირჩევთ იმ სესხებს, რომლებსაც გააჩნიათ უზრუნველყოფა და კლასიფიკაციას ვუკეთებთ მთელ გირაოს პორტფელის შემდეგი სახით: არაუზრუნველყოფილი კრედიტები, მესამე პირის თავდება, გირაო მოთხოვნის ან გამოსყიდვის უფლებით, საქონელი, მოწყობილობები, ბანკების გრანტები, უძრავი ქონება, საგარანტიო დეპოზიტები. შემდეგ განვსაზღვრავთ ყველას წილს გირაოს პორტფელში.

გათვლებს ვაწარმოეთ გამოყენებითი პროგრამის Microsoft Office Excel-ის დახმარებით და შედეგებს წარმოდგენილია ცხრილ 3-ში. როგორც ვხედავთ მოცემული ცხრილიდან უძრავი ქონების გირაოს წილი მუდმივად იზრდება, რაც წარმოადგენს დადებით ტენდენციას, ასე, რომ ეს არის ერთ-ერთი გარანტირებული გირაოს სახეობა დეფოლტის შემთხვევაში. ასევე ცხრილში ასახულია ლიმიტის შეუსრულებლობა საქონლის გირაოში, მისი წილი მუდმივად მცირდება. გირაოს პორტფელი სტაბილურია, პრაქტიკულად არ შეინიშნება აშკარა გადახრები სტრუქტურაში. ეს მიუთითებს გირაოს ეფექტურ პოლიტიკაზე.

ცხრ.3

| უზრუნველყოფის ტიპი | საწყისი 2011 | იან. 2011 | ... | აგვ. 2011 | სექ. 2011 | ოქტ. 2011 | ნოემ. 2011 | დეკ. 2011 | იან. 2012 | თებ. 2012 | მარტ. 2012 |
|--|--------------|-----------|-----|-----------|-----------|-----------|------------|-----------|-----------|-----------|------------|
| არაუზრუნველყოფილი კრედიტები | | 7,3% | ... | 12,2% | 11,8% | 11,2% | 10,0% | 9,9% | 11,9% | 13,3% | 14,8% |
| მესამე პირის თავდებობა | 30% | 40,0% | ... | 61,7% | 59,8% | 57,3% | 59,3% | 58,2% | 57,1% | 55,1% | 54,7% |
| გირაო მოთხოვნის ან გამოსყიდვის უფლებით | 10% | 3,3% | ... | 1,5% | 1,4% | 1,3% | 1,2% | 1,0% | 0,5% | 0,7% | 0,3% |
| საქონლის გირაო | 30% | 11,0% | ... | 9,4% | 11,4% | 11,9% | 12,2% | 9,0% | 7,3% | 9,1% | 8,2% |
| მოწყობილობების გირაო | 10% | 5,0% | ... | 1,1% | 3,1% | 3,8% | 3,6% | 4,4% | 4,5% | 4,4% | 3,5% |
| ბანკების გარანტია | | 4,0% | ... | 3,4% | 3,2% | 2,9% | 2,8% | 2,2% | 2,8% | 2,6% | 1,7% |
| უძრავი ქონების გირაო | 20% | 7,1% | ... | 9,2% | 8,3% | 10,7% | 9,9% | 14,7% | 15,1% | 14,0% | 16,0% |
| გარანტირებული დეპოზიტი | 0% | 1,5% | ... | 1,4% | 1,1% | 0,9% | 0,8% | 0,6% | 0,7% | 0,8% | 0,9% |
| სულ | 100% | 100% | ... | 100,0% | 100,0% | 100,0% | 100,0% | 100,0% | 100,0% | 100,0% | 100,0% |

შეინიშნება მუდმივი დინამიკა ისეთი ტიპის უზრუნველყოფის მხრიდან, როგორცაა მესამე პირის თავდება, ლიმიტი დადგენილია 30%-ის ფარგლებში, ხოლო 31.03.2012 წლისთვის ეს მაჩვენებელი შეადგენს 54,7%-ს. საშუალო მაჩვენებელი მთელი პერიოდის განმავლობაში 31.01.2011-დან 31.03.2012-ის ჩათვლით ტოლია 59,6%. ეს არის სიგნალი იმისა, რომ გადაიხედოს მოცემული ლიმიტი.

5. დასკვნა

ჩატარებული კვლევების შედეგად უნდა გავითვალისწინოთ, რომ გირაოს პორტფელში აუცილებელია გაიზარდოს მაღალლიკვიდირებული გირაო. საკრედიტო პოლიტიკა ასევე უნდა ითხოვდეს, რომ ლიმიტები უზრუნველყოფის სახით ხშირად უნდა იყოს გადახედილი. ასე, რომ გირაოს პორტფელის მონიტორინგი და კონტროლი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ამოცანაა საკრედიტო რისკების მართვისას კომერციულ ბანკში.

ლიტერატურა - References - Литература:

1. Лаврушин О.И. (2012). Банковское дело. Москва. Финансы и статистика.
2. Риск менеджмент, оценка рисков. [Электронный ресурс] – <http://md-hr.ru/articles/html/article32645.html>
3. Reuters Kondor+ и Systematica Radius – решение по управлению рисками для фронт- и мидл-офиса. [Электронный ресурс] – <http://www.systematica.ru/articles/detail.php?ID=33>.
4. Комплексное решение по управлению рисками SAS. [Электронный ресурс] – <http://www.sas.com>

CREDIT PORTFOLIO MANAGEMENT ANALYSIS AND DEVELOPMENT OF STRUCTURAL MODELS OF MONITORING

Dvalishvili Mariam
Georgian Technical University

Summary

In the field of corporate credit, for effectively managing the Bank risk it is not enough to assess risk degrees only, in fact, implementing various methods and measures is needed which are directed towards risk minimization. In the field of corporate credits, legal entities represent Bank clients. Size of a loan focuses on average corporate clients. Controlling the risks is important in the process of credit risk management. The present article discusses topics such as risk concentration limits, large credit risks in the joint limit capacity determination and analysis of credit portfolio risk concentration limits.

АНАЛИЗ УПРАВЛЕНИЯ КРЕДИТНОГО ПОРТФЕЛЯ И РАЗРАБОТКА СТРУКТУРНОЙ МОДЕЛИ МОНИТОРИНГА

Двалишвили М.
Грузинский Технический Университет

Резюме

Для эффективного управления банковскими рисками в сфере корпоративного кредитования не достаточно оценить только его качество, также необходимо использовать различные методы и способы, которые направлены на минимизацию рисков. В сфере корпоративного кредитования клиентами банка являются юридические лица. Размер кредита ориентирован на среднего корпоративного клиента. В процессе управления кредитного риска важен контроль риска. В статье рассмотрены вопросы, касающиеся лимита концентрации риска, определение объема единого лимита крупного кредитного риска и анализ лимита концентрации рисков кредитного портфеля.